ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 2

ქ. ონი 02. 08. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, თორნიკე მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, რევაზ საბანაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდა 14 წევრი: ფრიდონ გოგრიჭიანი, ნინო გობეჯიშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ეკა მაისურაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-16, წინააღმდეგი-არცერთი

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქცია ,,ონი საქართველოსთვის“ სამმა წევრმა

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ა. ხვედელიანმა, შ. ჯაფარიძემ და ვლ. ბერელიძემ ისაუბრეს სოფლებში ამბულატორიებში არსებულ პრობლემებზე, კერძოდ, როგორც მათ აღნიშნეს, სოფლების ღარის, ლაგვანთისა და ნიგვზნარის ამბულატორიებში დგება წყალი. ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა ამბულატორიაში არის მსგავსი ტიპის ხარვეზები და საჭიროა, ერთობლივად ამ პრობლემის მოგვარება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე